სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შესაძლებლობის შეფასების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ბექარ კილასონია**

წევრი:

სახელი, გვარი

ზურაბ მესხიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 ივნისის №760407 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 7 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ მისამართზე - ქ. ქობულეთი, შოთა რუსთაველის ქ. №154. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ - ცალკეული კომპონენტების დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შესაძლებლობის შემოწმება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის ბ.ა), ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა პროგრამის დისტანციური ფორმით განხორციელების მიზანშეწონილობა და დაწესებულების სტრატეგიული ხედვა, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების სამართლებრივი საფუძვლები, პროგრამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა, მისი სტრუქტურა, სწავლის შედეგების დისტანციური ფორმით მიღწევის მექანიზმები, პროგრამის განახლების პროცესი და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრაქტიკა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ, მიუხედავად ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელებისა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება დაგეგმილია დაწესებულებაში, ფიზიკურ გარემოში.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაციისა და დარგობრივი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე შეფასდა პერსონალის რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა, ციფრული კომპეტენციები და დისტანციური სწავლების განხორციელების გამოცდილება. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო სივრცეები და შეაფასა მატერიალურ-ტექნიკური და ციფრული ინფრასტრუქტურა. გადამოწმდა დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური რესურსები, ელექტრონული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ციფრული ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყენებული მატერიალური რესურსები და მათი ფლობის ან კანონიერ სარგებლობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა ექსპერტთა ჯგუფთან, ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და რესურსების ხელმისაწვდომობა და შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შესაძლებლობა, რამაც ხელი შეუწყო მონიტორინგის პროცესის სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელებას. წარმოდგენილი მტკიცებულებების, გასაუბრებებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე, მონიტორინგის საგნის ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	30	22	0	6

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში/ Basic Vocational Qualification in Information Technology Support
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის მოადგილის ბრძანება №01-04/152, (ცვლილება 07.07.2026 №01-04/186);
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება პროგრამის განახლების საჭიროების, დაწესებულების რესურსული შესაძლებლობებისა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის შეფასებას და შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებებთან. აღნიშნული პროგრამა დაწესებულებისთვის სრულიად ახალი საგანმანათლებლო მიმართულება არ არის. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლების შედეგად, კოლეჯმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყო უკვე განხორციელებადი პროგრამის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. წარმოდგენილი პროგრამის პაკეტი შედგენილია განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა/Information Technology Support“, სარეგისტრაციო ნომრით 06.3.1 - საფუძველზე და მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, სასწავლო გეგმას, მოდულებს, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციას. პროგრამის დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის №01-04/152 ბრძანებით (ცვლილება 07.07.2026 №01-04/186) განისაზღვრა განახლებული პროგრამის 2026 წლიდან განხორციელებულ მიღებებზე ამოქმედება. ამავე აქტით მიმდინარე ჯგუფებისთვის სწავლების გაგრძელება გათვალისწინებულია მილევად რეჟიმში, მანამდე მოქმედი პროგრამის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და სასწავლო პროცესის უწყვეტობის დაცვას. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ პროგრამის განახლება განხორციელდა დაგეგმილი და თანმიმდევრული ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში.

კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ თანახმად, პროგრამის დამატების ან განხორციელების შესახებ ინიცირება უნდა განხორციელდეს წერილობით, ხოლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება შესაძლებელია ეფუძნებოდეს შესაბამის უნარებსა და სამუშაო პოზიციებზე არსებულ ან პროგნოზირებულ მოთხოვნას, დამსაქმებელთა ინიციატივებს, პროგრამების სპექტრის გაფართოებას, თვითდასაქმების შესაძლებლობებს, მსურველთა შესახებ მონაცემებს ან სხვა არსებით გარემოებებს. მეთოდოლოგია ასევე ადგენს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროგრამის ახალ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 23 მარტის №01-04/72 ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეაფასა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ორგანიზაციული შესაძლებლობები. სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმებით დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, კვალიფიკაციისა და დატვირთვის, სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის, კომპიუტერული ტექნიკის, დამატებით შესაძენი ინვენტარისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ურთიერთშესაბამისობის შესწავლა. შესაბამისად, პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება არა მხოლოდ ფორმალურ დამტკიცებას, არამედ დაწესებულების რეალური რესურსული შესაძლებლობების შეფასებასაც. პროგრამა შინაარსობრივად შეესაბამება კოლეჯის მისიას, რომლის თანახმადაც დაწესებულება მრავალპროფილური პროფესიული განათლების გზით მიზნად ისახავს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და ქვეყნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანას. კოლეჯის ხედვა ასევე ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური და მოთხოვნადი კადრების მომზადებაზე, მრავალფეროვანი პროგრამებისა და სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვაზე. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები უშუალოდ პასუხობს აღნიშნულ მისიის განაცხადს. პროგრამა ითვალისწინებს კომპიუტერული ტექნიკის აპარატურულ და პროგრამულ მხარდაჭერას, ოპერაციულ სისტემებთან მუშაობას, ქსელების მოწყობას, ტექნიკური გაუმართაობების დიაგნოსტირებასა და აღმოფხვრას და მომხმარებლისთვის ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში მხარდაჭერის გაწევას. აღნიშნული კომპეტენციები ორიენტირებულია თანამედროვე ორგანიზაციებისა და შრომის ბაზრის ტექნოლოგიურ საჭიროებებზე. პროგრამის განხორციელება ასევე შეესაბამება კოლეჯის 2026–2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიმართულებებს, მათ შორის:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას;
- შრომის ბაზრის კვლევებზე დაყრდნობით პროგრამების განახლებას;
- სტუდენტზე ორიენტირებული და თანამედროვე სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას;
- სასწავლო გარემოსა და რესურსების მდგრად განვითარებას;
- ტექნოლოგიების ინტეგრაციასა და განათლების ხელმისაწვდომობის გაფართოებას.

კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმაში უშუალოდ არის გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ცვლილებებიდან გამომდინარე პროგრამების განახლება და მათი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა, პროგრამების ბიუჯეტების შემუშავება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მონიტორინგი და განახლება და შესაბამისი საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება. შესაბამისად, განახლებული პროგრამის განხორციელება წარმოადგენს კოლეჯის წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიული და სამოქმედო მიზნების შესრულების ნაწილს. ამასთან, პროგრამით დაშვებული ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელება, ლიცენზირებული Microsoft Teams-ის პლატფორმის, ელექტრონული ბიბლიოთეკისა და გაციფრულებული სასწავლო რესურსების გამოყენებით, ლოგიკურად უკავშირდება კოლეჯის ღირებულებას ინოვაციას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, ტექნოლოგიების ინტეგრაციასა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები მკაფიოდ არის განსაზღვრული როგორც პროგრამულ, ისე ინსტიტუციურ დონეზე და უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება და შესაბამისი კომპეტენციები ქმნის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადგენილ ვადაში მიღწევის სათანადო წინაპირობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება. აღნიშნული მოთხოვნა შეესაბამება პროგრამის კვალიფიკაციის დონეს, შინაარსსა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დაშვების წინაპირობა თანხვედრაშია სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან, რომლის მიხედვითაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს, მათი არსებობის შემთხვევაში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული ტესტირების, კონკურსის ან შერჩევის პროცედურების საფუძველზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში კი გათვალისწინებულია შესაბამისი განათლების აღიარების კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის გავლა.

წარმოდგენილი პროგრამული და ინსტიტუციური რეგულაციების ურთიერთშესაბამისობა ადასტურებს, რომ დაწესებულებაში პროგრამაზე დაშვების პროცესი არის მკაფიოდ მოწესრიგებული, თანმიმდევრული და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. განსაზღვრული წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ქმნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში ჩაერთონ პროგრამის სირთულისა და კვალიფიკაციის დონის შესაბამისი წინარე განათლების მქონე პირები, რომელთაც შეუძლიათ პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განახლებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში დაწესებულებამ შეაფასა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური, ადამიანური და ორგანიზაციული რესურსები. პროგრამის განახლებული პაკეტით განსაზღვრულია მისი განხორციელების ადგილი, სტრუქტურა, სასწავლო გარემო და განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი რესურსები. კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 23 მარტის №01-04/72 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებისა და სამუშაო ჯგუფის №1, №2 და №3 სხდომების ოქმების შესწავლით დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას წინ უძღოდა დაწესებულების რესურსული შესაძლებლობების კომპლექსური ანალიზი. სამუშაო ჯგუფის 2026 წლის 1 აპრილის №2 სხდომაზე საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მენეჯერმა და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორმა წარმოადგინეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასება. ანალიზისას გათვალისწინებული იყო სასწავლო აუდიტორიის გამტარუნარიანობა, კომპიუტერული სამუშაო ადგილების რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლები, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო ინვენტარი და დამატებით შესაძენი მატერიალური რესურსების ნუსხა, რომელიც წარმოდგენილია შესაბამის დანართებში. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც ადასტურებს დაწესებულების მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით შესაბამისი რესურსის მობილიზებას. პარალელურად, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერმა და პროგრამის ხელმძღვანელმა შეაფასეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, კვალიფიკაცია, დარგობრივი გამოცდილება და საათობრივი დატვირთვის დასაშვები ლიმიტები. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ არსებული ადამიანური რესურსი საკმარისია განსაზღვრული რაოდენობის პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის უწყვეტად და სათანადო ხარისხით წარმართვისთვის.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი A/B ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი კომპიუტერული სამუშაო ადგილით. აღნიშნული რესურსი ერთ ცვლაში 15 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას ქმნის. სასწავლო პროცესის ორ ცვლაში დილისა და საღამოს ჯგუფების ფორმატით ორგანიზების პირობებში, ერთი და იმავე სასწავლო გარემოს გამოყენებით შესაძლებელია ჯამურად 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურება.

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია:

- სასწავლო გარემოს ფიზიკური გამტარუნარიანობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპიუტერული სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- სასწავლო პროცესის ორ ცვლაში ორგანიზების შესაძლებლობა;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა;
- პროგრამის ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობა;
- მატერიალური რესურსების გამოყენებისა და განახლების საჭიროებები.

პროგრამის დამტკიცების შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მისი განხორციელება განსაზღვრულია 2026 წლის მიღებებისთვის. შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული 30 პროფესიული სტუდენტის ზღვრული ოდენობა ეფუძნება დაწესებულების მიერ განხორციელებულ რესურსულ ანალიზს, სასწავლო გარემოს რეალურ გამტარუნარიანობას, ორ ცვლაში სწავლების ორგანიზებასა და ადამიანური რესურსის შესაძლებლობებს. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა ქმნის პროგრამის ხარისხიანად განხორციელების, თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამის მატერიალურ რესურსზე წვდომისა და სასწავლო პროცესში ეფექტიანი ჩართულობის სათანადო წინაპირობას.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები ქმნის პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის სათანადო შესაძლებლობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განახლებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების საკმარისობა და შესაბამისობა სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ იქნა შესწავლილი. განხორციელებული ანალიზის ფარგლებში შეფასდა არსებული სასწავლო გარემო, კომპიუტერული ტექნიკა, დარგის შესაბამისი მოწყობილობები, სასწავლო მასალები და დამატებითი რესურსების საჭიროება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაშია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და კომპიუტერული ინფრასტრუქტურა. არსებული აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის, ოპერაციული სისტემების, ქსელური მოწყობილობებისა და სხვა დარგობრივი კომპონენტების პრაქტიკულად შესწავლის შესაძლებლობას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემო და გადაამოწმა შესაბამისი მატერიალური რესურსების არსებობა და ხელმისაწვდომობა. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე ინტერაქტიული დაფები, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს, სასწავლო მასალა წარმოადგინონ ვიზუალური და ინტერაქტიული ფორმით, გამოიყენონ პრეზენტაციები, ვიდეომასალა, სქემები, ელექტრონული რესურსები და პრაქტიკული დემონსტრაციები. აღნიშნული ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა აქტიურ ჩართულობასა და რთული ტექნიკური საკითხების თვალსაჩინოდ გააზრებას. დაწესებულებაში ასევე ხელმისაწვდომია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისი ელექტრონული სასწავლო მასალები. პროგრამით განსაზღვრული რესურსები განთავსებულია კოლეჯის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, რაც პროფესიულ სტუდენტებსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აძლევს საჭირო სასწავლო მასალებზე სისტემური და შეუფერხებელი წვდომის შესაძლებლობას. ელექტრონული რესურსების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელების პირობებში და ხელს უწყობს როგორც სინქრონული სასწავლო პროცესის, ისე პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტიან ორგანიზებას. შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემო, კომპიუტერული და დარგობრივი ტექნიკური აღჭურვილობა, ინტერაქტიული დაფები, ელექტრონული სასწავლო რესურსები და ელექტრონული ბიბლიოთეკა რაოდენობრივად და ფუნქციურად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით წარმართვას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით იკვეთება, რომ პროგრამის დამტკიცებას წინ უძღოდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების შიდა განხილვისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ საკითხის ინიცირების პროცესი, რაზეც მიუთითებს ხარისხის მართვის მენეჯერის 2026 წლის 29 მაისის №641004 სამსახურებრივი ბარათი. აღნიშნული სამსახურებრივი ბარათისა და კოლეჯის წესდებით დირექტორისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, 2026 წლის 1 ივნისს გამოიცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბრძანება №01-04/152. ბრძანების თანახმად, (ცვლილება 07.07.2026 №01-04/186). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა დანართების №1 სახით, რომლებიც ბრძანების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამართლებრივი აქტით განისაზღვრა, რომ განახლებული პროგრამები ამოქმედდება 2026 წლიდან განხორციელებულ მიღებებზე. ამასთან, მოქმედ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და სასწავლო პროცესის უწყვეტობის დაცვის მიზნით, მიმდინარე ჯგუფებისთვის სწავლების გაგრძელება გათვალისწინებულია მილევად რეჟიმში, 2022 წლის 28 ოქტომბრის №01-04/205 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის განახლების პროცესში უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სამართლებრივი მდგომარეობისა და განათლების უწყვეტობის დაცვას. ბრძანებით ასევე განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ადგილები და პროგრამის ხელმძღვანელი.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის მიზანს, შინაარსს, სტრუქტურასა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა/Information Technology Support“ - საფუძველზე, რომლის სარეგისტრაციო ნომერია 06.3.1. პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ოპერაციული სისტემებისა და ქსელური ინფრასტრუქტურის ინსტალაციის, გამართვის, დიაგნოსტირების, ტექნიკური მომსახურებისა და გაუმართაობების აღმოფხვრისათვის საჭირო ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსდამთავრებულს შეუძლია კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, პერიფერიული მოწყობილობების გამართვა, მცირე ზომის კომპიუტერული ქსელისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი, მობილურ, Linux და სერვერულ ოპერაციულ სისტემებთან მუშაობა, კომპიუტერულ სისტემებში არსებული გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, აგრეთვე მომხმარებლისთვის ტექნიკური მხარდაჭერის ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში გაწევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული სწავლის შედეგები უშუალოდ უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას. პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის სფეროსთვის არსებითი პროფესიული მოდულები, მათ შორის:

- კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა;
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა;
- კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა;
- კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები;
- მობილური, Linux და სერვერული ოპერაციული სისტემები;
- პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა.

აღნიშნული მოდულები შინაარსობრივად და ლოგიკურად არის დაკავშირებული როგორც პროგრამის სახელწოდებასთან, ისე მის მიზანსა და კურსდამთავრებულის პროფესიული საქმიანობის სფეროსთან. პროგრამა ასევე მოიცავს ზოგად მოდულებს, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ციფრული, კომუნიკაციური, ენობრივი, მათემატიკური და პიროვნებათაშორისი კომპეტენციების განვითარებას. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება ნათლად, ზუსტად და არაორაზროვნად ასახავს პროგრამის შინაარსს, მისაღწევ სწავლის შედეგებსა და კურსდამთავრებულის სამომავლო პროფესიული საქმიანობის მიმართულებას. იგი არ არის შეცდომაში შემყვანი და სწორად ახდენს პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების იდენტიფიცირებას

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი მოთხოვნებითა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოყვანილი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, სასწავლო გეგმას, ზოგად და პროფესიულ მოდულებს, ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების შესახებ, აგრეთვე სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსების ჩამონათვალს. პროგრამის ძირითადი დოკუმენტი შეიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელ კომპონენტებს, მათ შორის:

- პროგრამის სახელწოდებასა და მიზანს;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციას;
- კვალიფიკაციის დონესა და კლასიფიკაციის შესაბამის მონაცემებს;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობას;
- მისაღწევ სწავლის შედეგებს;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს;
- პროგრამის სტრუქტურას, მოცულობასა და ხანგრძლივობას;
- ზოგადი და პროფესიული მოდულების ჩამონათვალსა და კრედიტების განაწილებას;
- სწავლის შედეგების დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების პირობებს;
- კვალიფიკაციის მინიჭების წესს;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლების შესახებ ინფორმაციას;
- პროგრამის განხორციელების ადგილსა და თანდართულ დოკუმენტაციას.

პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები. პროგრამის განმახორციელებელთა შესახებ ინფორმაცია და სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსების ჩამონათვალი წარმოდგენილია პროგრამის შესაბამის დანართებში. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის დროს განხორციელებული გადამოწმებით შეფასდა აღნიშნული რესურსების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან, შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და თანდართული დოკუმენტაცია შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტითა და მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნებით განსაზღვრულ პირობებს და ქმნის პროგრამის ორგანიზებულად და მიზნობრივად განხორციელების სათანადო საფუძველს

ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კოლეჯის 2026–2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ სრული პაკეტით, მათ შორის პროგრამის ძირითადი დოკუმენტით, სასწავლო გეგმით, ზოგადი და პროფესიული მოდულებითა და შესაბამისი დანართებით;
- პროგრამის დანართი №1-ით სასწავლო გეგმით, რომელშიც ასახულია მოდულების თანმიმდევრობა, კრედიტები, საათობრივი დატვირთვა და განხორციელების პერიოდები;
- პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ ინფორმაციით დანართი №2-ით და მათი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი პირადი საქმეებით;
- პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსების ჩამონათვალით დანართი №3-ით;
- პროგრამის მატერიალური რესურსების მართლზომიერი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 მარტის №01-04/74 ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის №01-04/152 ბრძანებით,(ცვლილება 07.07.2026 №01-04/186) სადაც პროგრამა დამტკიცდა უფლებამოსილი პირის მიერ და განისაზღვრა მისი 2026 წლის მიღებებიდან ამოქმედება;
- ხარისხის მართვის მენეჯერის 2026 წლის 29 მაისის №641004 სამსახურებრივი ბარათით, რომელიც წარმოადგენდა პროგრამის დამტკიცების ინიცირების საფუძველს;
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 23 მარტის №01-04/72 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ამსახველი №1, №2 და №3 სხდომების ოქმებით;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სამუშაო ჯგუფის წევრებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც ფიზიკური მატერიალურ-ტექნიკური გარემო, ისე დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ციფრული ინფრასტრუქტურა. აღნიშნული რესურსების ერთობლიობა, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განახლებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობას. დაწესებულება გეგმავს დისტანციურად განახორციელოს პროგრამით აღნიშნული ფორმით დაშვებული მოდულები, ხოლო პრაქტიკული და დარგობრივი კომპონენტები, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა საჭიროებს შესაბამის მოწყობილობებთან უშუალო მუშაობას, განხორციელდება კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ გარემოში. სწორედ პროგრამის ცალკეული კომპონენტების დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შესაძლებლობის ფაქტობრივი შეფასება წარმოადგენდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ძირითად მიზანს. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა როგორც პროგრამისთვის გამოყოფილი ფიზიკური სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები, ისე დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო ელექტრონული პლატფორმა, სასწავლო რესურსები და ტექნიკური შესაძლებლობები. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი A/B ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი კომპიუტერული სამუშაო ადგილით. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს, ხოლო სასწავლო პროცესის ორ ცვლაში დილისა და საღამოს ჯგუფების ფორმატით ორგანიზება უზრუნველყოფს თითოეულ ცვლაში 15 პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ კომპიუტერულ სამუშაო ადგილზე წვდომას. ამდენად, არსებული სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მოდელი ურთიერთშესაბამისია პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრულ ზღვრულ რაოდენობასთან. დაწესებულების მიერ კომპიუტერული ტექნიკის მართლზომიერი ფლობა დასტურდება სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღასა“ და შპს „იუ-ჯი-თის“ შორის 2026 წლის 27 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-08/18 ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია კონსოლიდირებული ტენდერის CON250000523 საფუძველზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 50 ერთეული სტაციონარული კომპიუტერის შესყიდვა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით. აღნიშნული ტექნიკური რესურსი ქმნის პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საფუძველს, ხოლო პროგრამისთვის უშუალოდ გამოყოფილი 15 კომპიუტერული სამუშაო ადგილი გამოიყენება დარგობრივი და პრაქტიკული სასწავლო აქტივობების განსახორციელებლად. არსებული კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამის დანართით განსაზღვრული სხვა დარგობრივი რესურსები პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას განახორციელონ ისეთი პრაქტიკული აქტივობები, როგორებიცაა კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია და გამართვა, ოპერაციულ სისტემებთან მუშაობა, პერიფერიული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქსელური მოწყობილობების კონფიგურირება, კომპიუტერული სისტემების დიაგნოსტირება, მონაცემთა სარეზერვო ასლების შექმნა და პროგრამული თუ აპარატურული გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

დისტანციური ფორმით განსახორციელებელი მოდულებისთვის დაწესებულებას გააჩნია ლიცენზირებული Microsoft Teams-ის პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სინქრონულ ონლაინ კომუნიკაციას, სასწავლო რესურსების გაზიარებას, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას, დავალებების მიწოდებასა და უკუკავშირის ორგანიზებას. დაწესებულების მიერ შემუშავებულ განრიგში გათვალისწინებულია დისტანციური სწავლების პერიოდში პროფესიული სტუდენტის ეკრანთან გასატარებელი დრო, რომელიც დღეში 2 საათს არ აღემატება.

სასწავლო პროცესში ასევე გამოიყენება თანამედროვე ინტერაქტიული დაფები, ელექტრონული სასწავლო მასალები და დაწესებულების ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განთავსებული რესურსები. აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის და გამოიყენება დასწრებითი და დისტანციური სასწავლო აქტივობების მხარდასაჭერად. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემო, გადაამოწმა მატერიალური რესურსების არსებობა და ფუნქციური მდგომარეობა, აგრეთვე შეაფასა Microsoft Teams-ის პლატფორმისა და ელექტრონული სასწავლო რესურსების გამოყენების შესაძლებლობა. დადასტურდა, რომ ფიზიკური და ციფრული სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და ქმნის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სათანადო პირობებს. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასება, მიუხედავად ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით სწავლებისა, განხორციელდება კოლეჯში, ფიზიკურ გარემოში. შესაბამისად, დაწესებულების მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს როგორც პრაქტიკული სწავლების, ისე სწავლის შედეგების ადგილზე დადასტურების პროცესის ორგანიზებას. პროგრამისთვის განსაზღვრული ფიზიკური სასწავლო გარემო, 15 კომპიუტერული სამუშაო ადგილი, სასწავლო პროცესის ორ ცვლაში ორგანიზება, ლიცენზირებული Microsoft Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული სასწავლო რესურსები, ინტერაქტიული დაფები და სხვა დარგობრივი აღჭურვილობა, პროფესიულ სტუდენტთა 30-კაციანი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 3 დარგობრივი მოდულისა და 10 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მრავალწლიან პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს პროფესიული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციების საფუძველზე. ზოგადი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლები წარმოდგენილი არიან მათემატიკის, ინგლისური და ქართული ენების, პიროვნული უნარებისა და ინფორმაციული წიგნიერების მიმართულებებით, რაც სრულად ფარავს პროგრამით გათვალისწინებულ ზოგად და საკვანძო კომპეტენციებს. ამასთან, ცალკეული ზოგადი მოდულის განხორციელებისთვის განსაზღვრულია რამდენიმე ალტერნატიული მასწავლებელი, მათ შორის ინგლისური ენისა და მათემატიკის მიმართულებით - თითოეულზე 3 განმახორციელებელი. აღნიშნული გარემოება დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას მოქნილად დაგეგმოს სასწავლო განრიგი, უზრუნველყოს მასწავლებელთა ურთიერთჩანაცვლება და მინიმუმამდე შეამციროს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა დაგეგმილია საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს შრომის კოდექსით - განსაზღვრული სამუშაო დროის მოთხოვნების გათვალისწინებით. მასწავლებელთა რაოდენობისა და მათი დატვირთვის პროგრამის მოცულობასა და სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საჭიროებებთან შესაბამისობა უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის რაციონალურ განაწილებას და ამცირებს ადამიანური რესურსის გადატვირთვასთან ან დეფიციტთან დაკავშირებულ შესაძლო რისკებს. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება და საათობრივი დატვირთვის განაწილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსით მდგრადობას, სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ორგანიზაციულ ეფექტიანობას. ამასთან, პროგრამა ითვალისწინებს ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობას, რომლის გამოყენებასაც კოლეჯი სასწავლო პროცესის დაგეგმვის ფარგლებში გეგმავს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ „Microsoft Teams“-ის პლატფორმის გამოყენებით ონლაინ სასწავლო პროცესის წარმართვის მრავალწლიანი გამოცდილება. ისინი ფლობენ დისტანციური ლექციების დაგეგმვისა და ჩატარების, ელექტრონული სასწავლო რესურსების გაზიარების, პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის, მათი ჩართულობისა და აქტივობის უზრუნველყოფის შესაბამის პრაქტიკულ უნარებს. მასწავლებელთა აღნიშნული გამოცდილება ასევე დადასტურდა მათთან გასაუბრების პროცესში. ასევე დაწესებულებას თავად აქვს ჩატარებული სხვადასხვა სახის ტრენინგები დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, საათობრივი დატვირთვის რაციონალური განაწილება და დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსით მდგრადობას, სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ორგანიზაციულ ეფექტიანობას.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, მათ შორის, მათი კვალიფიკაციის, სწავლებისა და შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები ფლობენ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო დარგობრივ და პედაგოგიურ კომპეტენციებს. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა პროფესიული განათლების მასწავლებლებს. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი არიან კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტები, კარგად იცნობენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს, შესაბამისი მოდულების მიზნებს, სწავლის შედეგებსა და განხორციელების სპეციფიკას. მასწავლებლებს აქვთ შესაბამის სფეროში მრავალწლიანი და მიმდინარე პრაქტიკული გამოცდილება, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის პროფესიულ გარემოსთან და დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პრინციპებსა და პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თავისებურებებს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და კალენდარული გეგმების შემუშავების საკითხებს. ამასთან, მათ გავლილი აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმების შედგენისა და პროფესიული განათლების სხვა აქტუალური მიმართულებების შესახებ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია, დარგობრივი გამოცდილება და პედაგოგიური კომპეტენციები შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევისა და ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დირექტორის 2026 წლის 01 ივნისის №01-04/152 ბრძანებით, დანიშნულია პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პროგრამის ხელმძღვანელი, მოქმედი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დარგობრივი საქმიანობისა და სწავლების, მათ შორის პრაქტიკული და ონლიან სწავლების, მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ მისი განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, ჩერთოს ვალიდაციის პროცესებში, ასევე კოორდინაციას გაუწიოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას, პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია ელექტრონული და მატერიალური ფორმით. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის შესაბამის სასწავლო მასალებზე დროულ და ეფექტიან წვდომას.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვისა და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მექანიზმები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განმარტებულია, როგორც პროფესიული სტუდენტის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს როგორც მისაღწევ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგებს, ისე მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ამავე წესით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მხარდაჭერა შესაძლოა მოიცავდეს პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას და დამატებითი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებას. წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისი განსხვავებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები და სტრატეგიები. ამასთან, ინკლუზიური განათლების განხორციელების მიზნით, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას და სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ასევე ცალკეა გათვალისწინებული სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების სწავლების საკითხი, რაც ქმნის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მიღწევის საფუძველს. აღნიშნული რეგულაციები ადასტურებს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სსსმ პირების საჭიროებების გამოვლენის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სწავლების მეთოდების, გარემოსა და რესურსების შესაბამისი ადაპტაციის ორგანიზაციული მექანიზმები.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ნაწილს და განსაზღვრავს პროგრამის ფინანსური განხორციელების ძირითად პარამეტრებს. პროგრამა შედგება 55 კრედიტისგან და ხორციელდება 42 სასწავლო კვირია. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც დასწრებითი, ისე ცალკეული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს.წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სახელმწიფო ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების დეტალურ სტრუქტურას. ბიუჯეტში ასახულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ფინანსური კომპონენტები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო მასალებისა და ნედლეულის უზრუნველყოფის, ადმინისტრირების ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განასაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტი.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმით №2 (01.04.2026) - ადამიანური რესურსის თავსებადობისა და დატვირთვის ლიმიტების დადასტურება;
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 01 ივნისის ბრძანებით №01-04/152 (ცვლილება 07.07.2026 №01-04/186) - პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ ;
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 მარტის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (კონსოლიდირებული ტენდერი CON250000523), ხელშეკრულებით:№03-08/18 (27.01.2026), გაფორმებული შპს „იუ-ჯი-თისთან“ - კომპიუტერული აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი იურიდიული საფუძველი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- ელექტრონული ბიბლიოთეკით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და პროგრამის დანართი №1 სასწავლო გეგმა. დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო გეგმაში ასახულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული, მოდულის შესაბამისი განსაზღვრული კრედიტები, საათობრივი დატვირთვა და განხორციელების პერიოდები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს, ჯამურად 9 კრედიტის მოცულობით და 8 პროფესიულ მოდულს, ჯამურად 46 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 55 კრედიტი. აღნიშნული მოცულობა სრულად არის ასახული სასწავლო გეგმაში. სასწავლო გეგმით პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 1 375 საათს, მათ შორის განსაზღვრულია საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასებისთვის განკუთვნილი საათები, რაც შეესაბამება 55 კრედიტის მოცულობას. მოდულების განაწილება ხორციელდება მათი შინაარსობრივი ურთიერთკავშირისა და პროფესიული სტუდენტების კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის საწყის ეტაპზე გათვალისწინებულია ზოგადი კომპეტენციებისა და დარგში გაცნობითი ხასიათის ცოდნისა და უნარების განვითარება, რის შემდეგაც პროფესიული სტუდენტები გადადიან კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის, უსაფრთხოების, პრობლემების აღმოფხვრის, კომპიუტერული ქსელებისა და ოპერაციული სისტემების მიმართულების მოდულებზე. პრაქტიკული პროექტის განხორციელება დაგეგმილია პროგრამის დასკვნით ეტაპზე, რაც პროფესიულ სტუდენტს აძლევს მანამდე მიღებული ცოდნისა და უნარების კომპლექსურად გამოყენების შესაძლებლობას. სასწავლო გეგმით კვირეული დატვირთვა განაწილებულია ისე, რომ არ აღემატება 40 საათს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ პროფესიულ სტუდენტთა დატვირთვა დაგეგმილია თანმიმდევრულად და სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში გათვალისწინებულია როგორც პროგრამის შინაარსი, ისე მისი განხორციელების ორგანიზაციული შესაძლებლობები. პროგრამაში განსაზღვრულია იმ მოდულების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელება შესაძლებელია დისტანციური ფორმით. კერძოდ, დისტანციური სწავლების შესაძლებლობა გათვალისწინებულია შემდეგ მოდულებზე: უცხოური ენა - ინგლისური ენა, ინფორმაციული წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა და დარგობრივი ინგლისური ენა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა. დაწესებულებას პროგრამით განსაზღვრული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელებისთვის გააჩნია ლიცენზირებული Microsoft Teams-ის პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ სასწავლო პროცესის ორგანიზებას, პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციას, სასწავლო რესურსების გაზიარებასა და მათი ჩართულობის მონიტორინგს. ამასთან, სასწავლო გეგმისა და დისტანციური სწავლების ორგანიზების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ონლაინ სწავლების პერიოდში პროფესიულ სტუდენტთა ეკრანთან გასატარებელი დროის ხანგრძლივობა, რომელიც დღიურად არ აღემატება 2 საათს. აღნიშნული მიდგომა ემსახურება პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და სასწავლო დატვირთვის გონივრული განაწილების უზრუნველყოფას და ხელს უწყობს დისტანციური სწავლების პროცესის ეფექტიანად და სტუდენტზე ორიენტირებულად წარმართვას. აღნიშნული დოკუმენტების პროგრამის სასწავლო გეგმასთან თანხვედრა ადასტურებს, რომ მოდულები ხორციელდება დადგენილი თანმიმდევრობით, განსაზღვრული საათობრივი დატვირთვითა და შესაბამის პერიოდში.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესწავლით დგინდება, რომ კოლეჯში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების შესაბამისი მექანიზმები. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკა, სასწავლო ჯგუფების რაოდენობა, შესაბამისი სასწავლო გარემო, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება და დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა. მარეგულირებელი წესის შესაბამისად, სასწავლო პროცესი შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკით. შესაბამისი განრიგის შემუშავებისას დასაშვებია პროფესიულ სტუდენტთა საერთო ინტერესების გათვალისწინება. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლის, ხანგრძლივობის, კრედიტების, კვალიფიკაციის ან დასახელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობის მოპოვებას, რაც მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს, ხოლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი აუდიტორია 15 კომპიუტერით. შესაბამისად, სასწავლო პროცესის ორ ცვლაში ორგანიზება უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურ კომპიუტერულ სამუშაო ადგილზე წვდომას. ამასთან, ცვლების დაგეგმვისას პროფესიულ სტუდენტთა საერთო ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობა ხელს უწყობს არსებული მატერიალური რესურსის ეფექტიან გამოყენებასა და სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნული შესაძლებლობა კოლეჯს აძლევს დამატებით მოქნილობას, პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების ან სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით სწავლება განახორციელოს დასწრებითი, დისტანციური ან ჰიბრიდული ფორმატების გამოყენებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯი გეგმავს პროგრამით დაშვებული მოდულების ნაწილის დისტანციური ფორმით განხორციელებას. პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ Microsoft Teams-ის პლატფორმის გამოყენებით ონლაინ სასწავლო პროცესის წარმართვის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც ქმნის პროფესიულ სტუდენტთა დისტანციურ სწავლებაში ეფექტიანად ჩართვისა და შესაბამის საჭიროებებზე დროულად რეაგირების სათანადო წინაპირობას. წესით ასევე განსაზღვრულია, რომ ფორსმაჟორული, დაწესებულებისგან დამოუკიდებელი ან სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევაში, როდესაც დამტკიცებული სასწავლო პროცესის ან სასწავლო გეგმის ჩვეულებრივი ფორმით დაცვა შეუძლებელია, კოლეჯი მოქნილად რეაგირებს და სტუდენტებს სთავაზობს მათ ინტერესებზე მორგებულ ალტერნატიულ პირობებს, მათ შორის, დასწრებითი სწავლების ჰიბრიდული ან დისტანციური ფორმატით ჩანაცვლებას. კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან ან ჯგუფთან მიმართებით შესაძლებელია განსხვავებული სასწავლო პერიოდის, შეფასების ფორმისა და სწავლების პირობების განსაზღვრაც.

პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების დამატებით მექანიზმს წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. აღნიშნული შესაძლებლობა გამოიყენება სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების, მობილობით ჩარიცხული ან სტატუსაღდგენილი პირების, მოდიფიცირებულ პროგრამაზე გადაყვანილი სტუდენტებისა და ფორსმაჟორული გარემოებების დროს. ინდივიდუალური გეგმით შესაძლებელია სწავლებისა და შეფასების განსხვავებული მიდგომების, საათების ინდივიდუალური განაწილების, ოპტიმალური სასწავლო გარემოსა და საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნიკური აღჭურვილობის განსაზღვრა. პროფესიულ სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია კომპიუტერული სასწავლო გარემო შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ დარგობრივი მოდულებით განსაზღვრული პრაქტიკული აქტივობების შესრულებას. სასწავლო პროცესში კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული და ქსელური მოწყობილობების, ოპერაციული სისტემებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება ქმნის თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირების შესაძლებლობას. ამასთან, სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე ინტერაქტიული დაფით, რომელიც გამოიყენება როგორც დასწრებითი, ისე შერეული ტიპის სასწავლო აქტივობების განხორციელებისას. მათი გამოყენება პროფესიული განათლების მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს, სასწავლო მასალა წარმოადგინონ ვიზუალური და ინტერაქტიული ფორმით, გამოიყენონ ელექტრონული რესურსები, ვიდეომასალა, სქემები, პრეზენტაციები და პრაქტიკული დემონსტრაციები, ასევე უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს ცალკეული ზოგადი და პროფესიული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობას. დაწესებულებას აღნიშნული მოდულების ონლაინ ფორმატში განხორციელებისთვის გააჩნია ლიცენზირებული Microsoft Teams-ის პლატფორმა, რომლის საშუალებით შესაძლებელია სინქრონული სწავლება, სასწავლო რესურსების ელექტრონულად გაზიარება, პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაცია, შესრულებული დავალებების მიღება და სასწავლო აქტივობების მონიტორინგი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ასევე განსაზღვრავს ელექტრონული პლატფორმების ტექნიკური მხარდაჭერისა და დისტანციური სწავლების დროს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მექანიზმებს. შესაბამისად, პროგრამის შინაარსი, სასწავლო გარემო, გამოყენებული ტექნიკური და პროგრამული საშუალებები, პრაქტიკულ და პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები და დისტანციური სწავლების ტექნოლოგიური შესაძლებლობები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და მათი სასწავლო პროცესში გათვალისწინების მექანიზმები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფუძნებულ, კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ გეგმას. იგი განსაზღვრავს როგორც მისაღწევ სწავლის შედეგებს, ისე მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ასევე მობილობით ჩარიცხული, სტატუსაღდგენილი ან სხვა ობიექტური გარემოების გამო განსხვავებული სასწავლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით განისაზღვროს:

- მოდულებისა და სასწავლო აქტივობების განხორციელების ინდივიდუალური თანმიმდევრობა;
- სასწავლო საათებისა და პერიოდის განსხვავებული განაწილება;
- სწავლებისა და სწავლის შესაბამისი მეთოდები და სტრატეგიები;
- ადაპტირებული სასწავლო რესურსები და ტექნიკური საშუალებები;
- პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
- შეფასების პროცესის ორგანიზების შესაბამისი პირობები.

სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება აქვს გამოიყენოს სწავლების განსხვავებული მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც ეფექტიანად პასუხობს კონკრეტული პირის საგანმანათლებლო საჭიროებებს. ამასთან, საჭიროების შესაბამისად შესაძლებელია სასწავლო გარემოსა და პირობების ადაპტირება, დამატებითი ადამიანური ან მატერიალური რესურსის მობილიზება და სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება. პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

პროგრამის მიხედვით, სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტს კრედიტი ენიჭება შესაბამისი სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში. შესაბამისად, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება არ გულისხმობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შემცირებას ან გაუქმებას. იცვლება მათი მიღწევის გზა, სწავლების მეთოდი, გარემო, რესურსი ან სწავლის ტემპი, ხოლო მისაღწევი პროფესიული კომპეტენციები უცვლელი რჩება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას ხელს უწყობს ასევე პროგრამით დაშვებული დისტანციური სწავლების შესაძლებლობა. ცალკეული მოდულების Microsoft Teams-ის პლატფორმის გამოყენებით განხორციელება, შესაბამის შემთხვევაში, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას სასწავლო პროცესში ჩაერთოს მოქნილი ფორმით. ამასთან, სასწავლო პროცესში ინტერაქტიული დაფების, ელექტრონული რესურსებისა და სხვა დარგობრივი ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული განათლების მასწავლებლებს საშუალებას აძლევს სასწავლო მასალა წარმოადგინონ სხვადასხვა ფორმით და სწავლების მეთოდები მოარგონ პროფესიულ სტუდენტთა განსხვავებულ შესაძლებლობებსა და სწავლის სტილს. შესაბამისად, დაწესებულებაში არსებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების ადაპტირების, შესაბამისი სასწავლო გარემოსა და რესურსების განსაზღვრის, დისტანციური სწავლების გამოყენებისა და დამატებითი შეფასების შესაძლებლობის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელდება დაწესებულების/კოლეჯის საგანმანათლებლო სივრცეში, დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ორგანიზაციული რესურსების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ თავისი შინაარსისა და განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე არ ითვალისწინებს განსაკუთრებული სპეციფიკური უსაფრთხოების წესების დაცვას. ამასთან, პროფესიული განათლების მიღების პროცესში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მუდმივ მხარდაჭერას, ხარისხიანი განათლების მიწოდებას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან და სტაბილურ განხორციელებას.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განახლებული პაკეტით, მათ შორის პროგრამის ძირითადი დოკუმენტით, მოდულებითა და დანართებით, რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი განახლებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან;
- პროგრამის დანართი №1-ით სასწავლო გეგმით, რომელშიც ასახულია მოდულების განაწილება, განხორციელების პერიოდები, საათობრივი დატვირთვა და დისტანციურად განხორციელებისთვის განსაზღვრული კომპონენტები;
- კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, მათ შორის დისტანციური და ინდივიდუალური სასწავლო პროცესის ორგანიზების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმებით;
- დისტანციური სწავლების განრიგით/გრაფიკით, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მონიტორთან გასატარებელი დრო.
- ლიცენზირებული Microsoft Teams-ის პლატფორმა.
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის არსებობით;
- ვიზიტის დროს სასწავლო გარემოს დათვალიერებით, რომლითაც დადასტურდა შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკისა და თანამედროვე ინტერაქტიული დაფების არსებობა;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, განახლებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პაკეტისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროგრამის მიზნებისთვის განსაზღვრული შეფასების სისტემა ეფუძნება კომპეტენციების დადასტურების პრინციპს და მიმართულია პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ფაქტობრივი მიღწევის შემოწმებისკენ. პროგრამით განსაზღვრულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქულების, ისე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით და ემსახურება პროფესიული სტუდენტის პროგრესის გამოვლენასა და მისთვის შესაბამისი უკუკავშირის მიწოდებას. განმსაზღვრელი შეფასება ეფუძნება კომპეტენციის დადასტურებას და ითვალისწინებს ორ შესაძლო შედეგს - „სწავლის შედეგი დადასტურდა“ ან „სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა“. მოდულის კრედიტი პროფესიულ სტუდენტს ენიჭება მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში. შეფასების ვალიდურობას უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობა კონკრეტული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესრულების კრიტერიუმებსა და შეფასების მიმართულებებთან. შეფასების სანდოობას ხელს უწყობს მოდულებით წინასწარ განსაზღვრული შეფასების მიმართულებებისა და კრიტერიუმების გამოყენება, შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი შემოწმება, შეფასების მტკიცებულებების სისტემატიზაცია და მათი პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში დაცვა. შეფასების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის წინასწარი ინფორმირება შეფასების თარიღის, დროის, ადგილისა და ფორმის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტს მიეწოდება შეფასებამდე არანაკლებ ხუთი დღით ადრე, მათ შორის ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად, მას ასევე აქვს შეფასების შესახებ განმარტებისა და კონსულტაციის მიღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობა. შეფასების სამართლიანობასა და ობიექტურობას უზრუნველყოფს ყველა პროფესიული სტუდენტის მიმართ მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების თანაბრად გამოყენება. უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს დამატებითი შეფასების მოთხოვნის შესაძლებლობა. დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს შეფასების შედეგის გასაჩივრების პროცედურა. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შედეგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს დასაბუთებული საჩივარი. საჭიროების შემთხვევაში ნაშრომი გადაეცემა შესაბამისი დარგის სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს ხელახალი შეფასებისთვის. შემფასებელი ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა ან შეცვალოს იგი პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ. დაწესებულების შიდა რეგულაცია ითვალისწინებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების გამოყენებას. განმსაზღვრელი შეფასების დისტანციურად განხორციელება დასაშვებია შესაბამისი ელექტრონული ფორმატის არსებობის შემთხვევაში, ხოლო პროფესიული სტუდენტის მოთხოვნით დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასების არადისტანციურ, ფიზიკურ გარემოში ჩატარებას. შეფასების მტკიცებულებების შეგროვება, პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირება და შედეგების აღრიცხვა ხორციელდება დაწესებულების საერთო შეფასების რეგულაციების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ პროგრამითა და მოდულებით განსაზღვრულ შეფასების მოთხოვნებს, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებს, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, უკუკავშირის მიწოდებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. მასწავლებლებს გავლილი აქვთ შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ტრენინგები და აქვთ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკული გამოცდილება.

ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დაშვებული ცალკეული მოდულების სწავლება დაგეგმილია დისტანციური ფორმით, თუმცა პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით შეფასების პროცესი განხორციელდება დაწესებულებაში, ფიზიკურ, არადისტანციურ გარემოში. შესაბამისად, დისტანციური ფორმატი გამოყენებული იქნება მხოლოდ სასწავლო პროცესის შესაბამისი კომპონენტების განხორციელებისთვის და არ გავრცელდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასებაზე.

შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში მოქმედი შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის, სტუდენტთა ინფორმირების, შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და დაცვის, დამატებითი შეფასებისა და შედეგების გასაჩივრების მექანიზმების გათვალისწინებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ვალიდურად, სანდოდ, გამჭვირვალედ, სამართლიანად და ობიექტურად დადასტურებას.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მკაფიოდ განსაზღვრულ მექანიზმს. ვერიფიკაციის მიზანია გამოყენებული შეფასების სისტემის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა შეფასება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას. ვერიფიკაციის განხორციელების ვადები ყოველწლიურად განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით.

დაწესებულებაში ვერიფიკაცია ხორციელდება სამი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
- შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე შეფასების ინსტრუმენტი მოწმდება როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ტექნიკურ შესაბამისობას ამოწმებს სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხოლო შინაარსობრივ მხარეს პროგრამის ხელმძღვანელი ან შესაბამისი დარგის სპეციალისტი. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, იმავე ინსტრუმენტის შემოწმებას არ ახორციელებს. პროფესიული სტუდენტის შეფასებისთვის გამოიყენება მხოლოდ შეთანხმებული და „ვალიდურია“ აღნიშვნის მქონე შეფასების ინსტრუმენტი. ვერიფიკაციის მეორე ეტაპი ითვალისწინებს შეფასების პროცესზე შერჩევით დაკვირვებას, რომლის მიზანია შეფასების ფაქტობრივი მიმდინარეობის, გარემოს, პროცედურებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის შექმნილი პირობების გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის შეფასება. შეფასების შედეგად შექმნილი წერილობითი ან პრაქტიკული პროდუქტი ინახება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო დაკვირვების, ზეპირი გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შეფასების ფურცლები ჯგუფის საერთო პორტფოლიოში. ვერიფიკაციის მესამე ეტაპზე ხორციელდება უკვე შექმნილი შეფასების მტკიცებულებების შემოწმება. მტკიცებულებათა შერჩევა ეფუძნება რისკების ანალიზს და ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოცდილებას, კოლეჯში მისი მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხანგრძლივობას, მოდულში პრაქტიკული დავალებების რაოდენობასა და ერთი შეფასების ინსტრუმენტით შესაფასებელი სწავლის შედეგების მოცულობას. რისკის დონის შესაბამისად განისაზღვრება შესამოწმებელი მტკიცებულებების რაოდენობა, ხოლო შეუსაბამობის ან ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში შერჩევის მოცულობა იზრდება, საჭიროების შემთხვევაში 100%-მდე.

ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. პროცესში შესაბამისი უფლებამოსილებების ფარგლებში ჩართულნი არიან სასწავლო პროცესის მენეჯერი და კოორდინატორი, პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტი და სხვა პასუხისმგებელი პირები. ვერიფიკაციის ფარგლებში მოწმდება შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან და შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობა, მტკიცებულებების ფიზიკური არსებობა, საკმარისობა და ვალიდურობა, პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების შესაძლებლობა, წინასწარი ინფორმირება, შეფასებისთვის განსაზღვრული დრო, გარემო, აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული, აგრეთვე მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობა.

ვერიფიკაციის შედეგები ფორმდება შესაბამისი დასკვნით, რომელშიც აისახება შეფასების სისტემის შესაბამისობა, გამოვლენილი პრობლემები და საჭირო რეკომენდაციები. დასკვნები განიხილება პროცესში ჩართულ მხარეებთან, ხოლო ხარისხის მართვის მენეჯერი ამზადებს ერთიან ვერიფიკაციის ანგარიშს და წარუდგენს დაწესებულების დირექტორს. საჭიროების შემთხვევაში, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით მუშავდება გაუმჯობესების გეგმა, ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონსულტირება, მათი სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შესრულების შემდგომი მონიტორინგი.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ, მიუხედავად პროგრამით დაშვებული ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელებისა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ჩატარდება კოლეჯში, ფიზიკურ გარემოში. შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია განხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი ერთიანი მექანიზმის შესაბამისად. ამასთან, შეფასების ადგილზე განხორციელება არ ცვლის ვერიფიკაციის საჭიროებას და წარმოადგენს შეფასების პროცესის იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც ვერიფიკაციისას ასევე ექვემდებარება შემოწმებას.

შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების რისკზე დაფუძნებული ვერიფიკაციის მექანიზმს, განსაზღვრული პასუხისმგებელი პირებით, შედეგების დოკუმენტირებისა და გამოვლენილ საჭიროებებზე შემდგომი რეაგირების პროცედურებით. ინდიკატორი შეფასებულია შესაბამისობაში

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, დოკუმენტებისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცედურები დაწესებულებაში რეგულირებულია. პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულებები და სტუდენტის პორტფოლიო ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შეფასების უწყისები ექვემდებარება მუდმივ შენახვას. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებები და პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან, პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცემა შესაბამის პირს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შეფასების შედეგი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დასაბუთებული იყოს იდენტიფიცირებადი და ხელმისაწვდომი მტკიცებულებებით, რაც მნიშვნელოვანია შეფასების შედეგის გასაჩივრების, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, შიდა მონიტორინგისა და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების განხორციელებისთვის. შეფასების უწყისების მუდმივად შენახვა კი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგებისა და მიღებული კრედიტების შესახებ ინფორმაციის გრძელვადიან დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამით დაშვებული ცალკეული მოდულების სწავლება დაგეგმილია დისტანციური ფორმით, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასება განხორციელდება კოლეჯში, ფიზიკურ გარემოში. შესაბამისად, შეფასების შედეგად შექმნილი მონაცემების, უწყისებისა და მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა განხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი ერთიანი წესისა და დადგენილი ვადების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების დადასტურებაზე, არამედ მისი პროგრესის გამოვლენასა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობაზე. პროგრამა ითვალისწინებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ქულების ან ჩათვლის პრინციპის გამოყენებით და პროფესიული განათლების მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გამოავლინოს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის ძლიერი მხარეები, სწავლის სირთულეები და ის საკითხები, რომლებიც დამატებით მუშაობას საჭიროებს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით შუალედური შეფასება განსაზღვრულია როგორც პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროგრესის დადგენისა და მათთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების ერთ-ერთი მექანიზმი. ამავე წესის შესაბამისად, შუალედური შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელს ხდის შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი სასწავლო საჭიროებები და დაიგეგმოს შესაბამისი განმავითარებელი აქტივობები. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს პროფესიულ სტუდენტს მიაწოდოს კონკრეტული უკუკავშირი, განუმარტოს დაშვებული ხარვეზები, მისცეს რეკომენდაციები შედეგების გაუმჯობესების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შესთავაზოს დამატებითი კონსულტაცია, პრაქტიკული დავალება ან კონკრეტულ საკითხზე განმეორებით მუშაობა. ამგვარად, შეფასების შედეგები გამოიყენება სწავლების შემდგომი ეტაპების დაგეგმვისა და პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერისთვის.

ამასთან, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე თუ ის არ წამოადგენს წინაპირობიან მოდულს მოითხოვოს შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასება. აღნიშნული შესაძლებლობა სტუდენტს აძლევს დროს, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე იმუშაოს გამოვლენილ ხარვეზებზე, გააუმჯობესოს ცოდნა და პრაქტიკული უნარები და ხელახლა დაადასტუროს შესაბამისი კომპეტენცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ცალკეული კომპონენტების სწავლება დაგეგმილია დისტანციური ფორმით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება განხორციელდება დაწესებულებაში, ფიზიკურ გარემოში. აღნიშნული გარემოება პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას უშუალოდ დააკვირდეს სტუდენტის მიერ დავალების შესრულებას, ზუსტად გამოავლინოს მისი საჭიროებები და შეფასების დასრულების შემდეგ მიაწოდოს ინდივიდუალური, შედეგზე ორიენტირებული უკუკავშირი.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, რომლელშიც განსაზღვრულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგებით, რომლითაც დადასტურდა შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით დამატებითი განმარტებების, კონსულტაციების, პრაქტიკული აქტივობებისა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების პრაქტიკა;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

თარიღი

28.07.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: